გელა სულაძე

(გამოცემულ წიგნთა ჩამონათვალი და მოკლე ანოტაცია)

მარტოსული - სული ნათელი, გამომცემლობა „გულანი“, თბ., 2001.

წიგნი ეძღვნება ვლადიმერ ჟვანიას - საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის - ტოტალიტარიზმის მსხვერპლის ტანჯულ ცხოვრებას. იგი გამსჭვალული იყო საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენით, რაც, მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაწყებული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებიდან გამომდინარეობს.

ვლ. ჟვანიას მიზანი იყო ქართველი საზოგადოების გამოფხიზლება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივება და საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მან აირჩია ისეთი ქმედება, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობით დასჯადი იყო. კერძოდ, 1975 – 1976 წლებში ჯერ სოხუმში, შემდეგ თბილისის ცენტრში და, ბოლოს, ქუთაისში თვითნაკეთი მოწყობილობით მოახდინა დივერსიული აქტები, რასაც შენობა-ნგებობების დაზიანება მოჰყვა. სოხუმში აფეთქებას შემთხვევით გამვლელი ემსხვერპლა. ამ დანაშაულის ჩადენისათვის ვლ. ჟვანიას დახვრეტა მიესაჯა.

წიგნში საუბარია ქართველთათვის უმთავრეს ღირებულებაზე - საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამავდროულად დაგმობილია ძალადობა და ნებისმიერი ფორმით გამოხატული ძალადობრივი აქტები, როგორც ანტიჰუმანური და დანაშაულებრივი მოვლენა.

ვლ. ჟვანიას ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვები: „იცოდეთ თქვენ, რომ საქართველოს გათავისუფლების იდეები მუდამ გულში მექნება, სანამ ის ცემს, მუდამ ტვინში მექნება, სანამ ის აზროვნებს, მუდამ სულში მექნება, სანამ სული მიდგას!“

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბ., 2010.

ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობა, თბ., 2012.

ნაწარმოებში სხვადასხვა საარქივო მასალაზე, აგრეთვე ემიგრანტულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები და მეთოდები; აღწერილია ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციით საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესების მოტივები და ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირში ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზებისათვის; გაშუქებულია სხვადასხვა სამხედრო თუ სპეციალური დანიშნულების ბატალიონებისა და ნაციონალური ლეგიონების ჩამოყალიბება- საქმიანობის ისტორია; საზღვარგარეთიდან ანტისაბჭოთა განწყობის ქართველი ემიგრანტი-ლიდერების გამოტყუება-მოტაცებისა და „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ შემოგზავნის ორგანიზაცია, აგრეთვე „შინსახკომის“ მხრივ მათ მიმართ გამოჩენილი სისასტიკე.

განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება დემოკრატიული საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთისა და დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე; საბჭოთა ხელისუფლების სისასტიკეზე საქართველოს ანექსიისა და შემდგომ პერიოდში; ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციაში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებზე, რომლებიც საზღვარგარეთ საბჭოთა სპეცსამსახურების სისხლიან სპეცოპერაციებთან არის დაკავშირებული.

ვრცლად არის მიმოხილული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რეემიგრაციისა და ქართული ეროვნული ფასეულობის საქართველოში დაბრუნების პროცესი და მასში საბჭოთა სპეცსამსახურების მონაწილეობა; ცივი ომის გარიჟრაჟზე ქართული ემიგრაციით უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დაინტერესების მოტივები და ა. შ.



სპეცსამსახურების თვალით დანახული საქართველოს უახლესი ისტორიის შუქ-ჩრდილები, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ. 2015.

წიგნში სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძის ღირსეულად განვლილი ცხოვრებისა და საქმიანობის მაგალითზე წარმოდგენილია ყველაზე გასაიდუმლოებული უწყების - სპეციალური სამსახურის გადასახედიდან დანახული საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მასში მონაწილე ცალკეული პერსონაჟები, რომელთაც საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ხშირად უწევდათ დაფიქრება იმაზე, რომ ქართველები და საქართველოს შვილები იყვნენ.

შეძლებისდაგვარად აღწერილია, თუ რა ხდებოდა მაშინდელ სახელისუფლებო კულუარებში და როგორი იყო სპეცსამსხურების მაღალი რანგის მოხელეთა დამოკიდებულება იმ ისტორიულ პერიოდში მიმდინარე მოვლენებისადმი. გარკვეული მინიშნებებია გაკეთებული აღწერილ ზოგიერთ მოვლენასთან თუ პერსონაჟთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სპეცსამსახურების დღევანდელ თაობას განსჯის საშუალებას მისცემს.



საქართველოს პირველი პრემიერის - ნოე რამიშვილის მკვლელობა, გამომცემლობა „წიგნი+ერი“, თბ., 2018.

წიგნი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის (შემდგომში ნ. ჟორდანია) - ნოე რამიშვილის მკვლელობას.

ნ. რამიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა და ანტისაბჭოთა მოღვაწე, ემიგრაციის პირობებში ენერგიულად ებრძოდა ბოლშევიკებს. ის იყო საქართველოში ანტისაბჭოთა საქმიანობის, პირველ რიგში საქართველოში ემისრების არალეგარული შეგზავნისა და იატაკქვეშა მოძრაობის, მთავარი ორგანიზატორი.

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა, რომელთაც საზღვარგარეთ უკვე ჩატარებული ჰქონდათ არაერთი სპეცოპერაცია მათთვის არასასურველ პირთა მკვლელობასა და გამოტყუებასთან დაკავშირებით, ჩათვალეს, რომ პოლიტიკური საფრთხე ნ. რამიშვილის მხრიდან დიდი იყო, და მისი ფიზიკური ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღეს, რაც აღასრულეს კიდეც.

წიგნში აღწერილია ნ. რამიშვილის მკვლელობის ფაქტი; გაანალიზებულია მკვლელის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მკვლელობის მოტივები; სასამართლო პროვესი; მკვლელობაში საბჭოთა სპეცსამსახურების მონაწილეობის ასპექტები; მკვლელობამდე და მკვლელობის შემდეგ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციაში შექმნილი ვითარება.


Gela Suladze

Deutsche in Georgien und
ihr Los
in der Sowjetepoche

(Aus den Archivbeständen der sowjetischen Geheimdienste)

Anlässlich des 200-jährigen Jubiläums der Niederlassung von Deutschen in Georgien sowie des 25-jährigen Jubiläums der Wiederaufnahme von deutsch-georgischen diplomatischen Beziehungen

Tbilisi
2018

გელა სულაძე

გერმანელები საქართველოში
და მათი ხვედრი
საბჭოთა პერიოდში

(საბჭოთა სპეცსამსახურების არქივებიდან)

ეძღვნება საქართველოში გერმანელთა ჩასახლების მე-200 და გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25-ე წლისთავს

თბილისი
2018

გერმანელები საქართველოში და მათი ხვედრი საბჭოთა პერიოდში (საბჭოთა სპეცსამსახურების არქივებიდან), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2018.

ნაშრომში ასახულია საქართველოში მცხოვრები გერმანელების ხვედრი საბჭოთა პერიოდში. ის ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებული, წლობით გასაიდუმლოებული ინფორმაციის ანალიზს. კვლევისათვის გამოყენებულია სხვა წყაროებიც. განსახილველი პერიოდი მოიცავს მეოცე საუკუნის 20-50-იან წლებს.

წიგნში გადმოცემულია ცალკეულ გერმანელთა დაპატიმრების მიზეზები, წინასწარი და სასამართლო გამოძიების შედეგები, დეტალურადაა გაანალიზებული რამდენიმე სპეციფიკური ხასიათის საქმე, აღწერილია დაპატიმრებულთა სულიერი მდგომარეობა.

გამოკვლევას ერთვის 400-მდე რეპრესირებული გერმანელისა და საქართველოში მყოფი 1500 ავსტრიელი და გერმანელი სამხედრო ტყვის (რომლებიც წლების განმავლობაში სასჯელს იხდიდნენ საბჭოთა ბანაკებში) სიები, აგრეთვე უნიკალური ფოტო და დოკუმენტური მასალა. წიგნში ბევრი ტრაგიკული ისტორიაა აღწერილი და მრავალი გერმანული გვარ-სახელია წარმოჩენილი.